№2066 2015 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

„შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 2015 წლის ოქტომბრის თვეში ქ. თბილისში საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზებისათვის საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოსა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №1909 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 2015 წლის ოქტომბრის თვეში ქ. თბილისში საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზებისათვის საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოსა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №1909 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების – 2015 წლის ოქტომბრის თვეში ქ. თბილისში საერთაშორისო ფორუმის „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ სათანადო დონეზე ორგანიზების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საჭირო საქონლის, სამშენებლო სამუშაოსა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 2015 წლის განმავლობაში განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაევალოს სსიპ – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს.

3. საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, ამ განკარგულების პირველი პუნქტის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები მიმართონ სსიპ – მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ანგარიშზე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**